112

112-ის დროით...

№32

აპრილი, 2016

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი,
სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი, მარიამ ჯმუხაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

01 112-მა საუკეთესო ინოვაციური სერვისით მსოფლიოს 82 ქვეყანას შორის გაიმარჯვა გვ.4-6

02 112-ის დირექტორის მოადგილე, თეა გზირიშვილი სტუმრად გადაცემაში „კანონის ფარგლებში"..... გვ.7-9

03 112-ის წარმატება უნგრეთის შს მინისტრმა აღნიშნა გვ.10

04 გადაცემა „ეკიპაჟი" გვ.11

05 „როცა წამები გადამწყვეტია" 112-ის სოციალური პასუხისმგებლობა გვ.12-13

06 112-ში ყრუ და სმენადაქვეითებული პირების ვიზიტი გრძელდება..... გვ.14-15

07 112-ის საინფორმაციო ფლაერები ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში განთავსდა გვ.16

08 ათასწლეულის სკოლის მოსწავლეების საჩუქარი 112-ს გვ.17

09 ჩუმი გმირი გვ.19-20

10 რობოტი „არტურიტო"..... გვ.21

11 ლაზერული სკანერი Busts DUI Perp. გვ.21

12 საინტერესო ფაქტები გადაუდებელი დახმარების ნომრების შესახებ გვ.23

EENA AWARD

112-მა საუკეთესო ინოვაციური სერვისით მსოფლიოს 82 ქვეყანას შორის გაიმარჯვა

01

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტი, ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაში შეტანილი წვლილისთვის, მსოფლიოს 82 ქვეყანას შორის, გამარჯვებული უკვე მესამედ გახდა.

2016 წლის 6 აპრილს, პრაღაში, ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიაზე საქართველოს 112 ნომინაციაში - „ინოვაციური სერვისი“ SMS და ვიდეო ზარის სერვისით - საუკეთესოდ აღიარეს.

შსს-ს 112-ის დეპარტამენტი ინოვაციური სერვისებისა და დაკავშირების ალტერნატიული არხების დანერგვაზე მუდმივად მუშაობს. გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრისთვის მნიშნელოვანია, რომ საქართველოში მყოფმა ნებისმიერმა მოქალაქემ საგანგებო სიტუაციებში 112-თან დაკავშირება შეძლოს. ამ მიზნით, საქართველოს 112-მა 2015 წლიდან SMS და ვიდეო ზარის სერვისი დანერგა.

ახალი სერვისი ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად დაუკავშირდნენ გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს. SMS და ვიდეო ზარის სერვისით სარგებლობა 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი. სერვისი უფასოა და მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედებს. 112-ში შესულ შეტყობინებებს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები იღებენ. სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია ვებგვერდზე www.112.gov.ge.

პროექტი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, განხორციელდა.

ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA) დაჯილდოების ცერემონიას სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად ატარებს. სპეციალური ჯილდო კონკრეტულ პირებსა და ორგანიზაციებს, დისპეტჩერებსა და საგანგებო სიტუაციების მართვის იმ ცენტრებს გადაეცემათ, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ერთიანი საგანგებო ნომრის - 112-ის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და ცნობადობის გაზრდის პროცესში.

დაჯილდოების ცერემონიას პრაღაში, საქართველოს 112-ის დეპარტამენტის წარმომადგენლების გარდა, 82 ქვეყნის 600-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის, გადაუდებელი დახმარების სფეროს ექსპერტები, ევროპარლამენტარები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წევრები.

ცერემონიის დასრულების შემდეგ სტუმრებმა გამოფენა დაათვალიერეს და გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში უახლეს ტექნოლოგიებსა და მიღწევებს გაეცნენ.

საქართველო ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ოფიციალური და სრულუფლებიანი წევრი 2013 წლის, 3 სექტემბერს გახდა.





112-ის დირექტორის მოადგილე, თეა გზირიშვილი სტუმრად გადაცემაში „კანონის ფარგლებში"

02

თემა: 112-ის წარმატება

გადაცემას „კანონის ფარგლებში" საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა გზირიშვილი ესტუმრა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტი, ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაში შეტანილი წვლილისთვის, მსოფლიოს 82 ქვეყანას შორის, გამარჯვებული უკვე მესამედ გახდა. გადაცემა სწორედ აღნიშნულ თემას დაეთმო.

- საქართველოს 112 სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია და საკმაოდ წარმატებულად თანამშრომლობს თითოეულ მათგანთან. რამდენად მნიშვნელოვანია მსგავს ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების კუთხით?

- საქართველო რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის ოფიციალური წევრები 2013 წელს გავხდით, 2014 წელს ევროპის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ფორუმს შევუერთდით, ხოლო 2015 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები გავხდით. 112-ის განვითარებისთვის აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან 112 საქართველოში სულ 4 წელია რაც არსებობს და იმ ქვეყნების მხრიდან გამოცდილების გაზიარება, სადაც ერთიანი გადაუდებელი დახმარების ნომერი უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. საინტერესოა, რომ პირველი გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი 1937 წელს ლონდონში შეიქმნა, ეს იყო 999 და დღემდე ეს ნომერი ფუნქციონირებს, აშშ-ში 1968 წელს შეიქმნა

911, სადაც დღემდე ეს ნომერია აქტიური. ევროპის გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი კი, 1991 წელს შეიქმნა და როგორც აღვნიშნეთ საქართველო 2012 წელს შეუერთდა მას.

- კონკრეტულად რა სახის თანამშრომლობას გულისხმობს ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის წევრობა? რომელი ქვეყნები არიან გაწევრიანებულები და რა მიზანს ემსახურება ყოველწლიური კონფერენცია?

- წევრ ქვეყნებთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია 112-ის განვითარებისთვის. ვისმენთ საინტერესო პრეზენტაციებს, ვეცნობით საერთაშორისო პროექტებს, რომლებზეც სხვადასხვა ქვეყნის 112-ები მუშაობენ, ვეცნობით ახალ ტექნოლოგიებს, ხდება გამოცდილების გაზიარება ექსპერტების მიერ.

- კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი დაჯილდოების ცერემონიაა. სამი წლის განმავლობაში სამი წარმატება... იქნებ მოგვიყვეთ ამ წარმატებების შესახებ... რა ფორმით ხდება გამარჯვებულის შერჩევა?

- ყოველწლიურ კონფერენციებსა და დაჯილდოებას ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია ატარებს, რომელიც 1999 წელს ბრიუსელში შეიქმნა და მისი მიზანი ევროპის მასშტაბით 112 -ის ცნობადობის გაზრდა იყო. ორგანიზაცია 80-ზე მეტი ქვეყნის 1000-მდე გადაუდებელი დახმარების სფეროს წარმომადგენელს, 15-მდე საერთაშორისო ორგანიზაციას, მკვლევარებს, საერთაშორისო ექსპერტებსა და ევროპარლამენტის წევრებს აერთიანებს. ორგანიზაცია 2008 წლიდან ყოველწლიურად საერთაშორისო კონფერენციებს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს, საქართველო მასში 2013 წლიდან მონაწილეობს. წელს დიდი სიხარული განვიცადეთ, საქართველო 82 ქვეყნის მიერ დასახელდა გამარჯვებულად. ნომინანტების შერჩევის პროცედურა ორ ეტაპად მიმდინარეობს, პირველ ეტაპზე ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის ყველა წევრი ქვეყანა აგზავნის სხვადასხვა ისტორიას, ჟიურის წევრების მიერ ხდება მათი შერჩევა, მეორე ეტაპზე კი გადარჩეული ისტორიები იგზავნება ასოციაციის წევრ ქვეყნებთან და გამარჯვებული ვლინდება პირდაპირი ხმის მიცემით. საქართველო უკვე მესამე წელია მონაწილეობს და სამივე წელს დიდი წარმატება გვქონდა. პირველ წელს ნომინირებულები ვიყავით ჩეხეთის რესპუბლიკასთან ერთად კატეგორიაში „განსაკუთრებული დისპეტჩერი“, მეორე წელს გავიმარჯვეთ ნომინაციაში „განსაკუთრებული მოქალაქე“, წელს კი საქართველო გამარჯვებულად დასახელდა ნომინაციაში „საუკეთესო ინოვაცია“. ეს არის SMS და ვიდეო ზარის სერვისი, რომელიც ყრუ და სმენა დაქვეითებული ადამიანებისთვის არის განკუთვნილი.

- SMS და ვიდეო ზარის სერვისი... რას გულისხმობს აღნიშნული სერვისი და ვისთვის არის განკუთვნილი კიდევ ერთხელ რომ ავუხსნათ ჩვენს მსმენელს...

- პირველ რიგში ვიტყვი, რომ ხშირი კავშირი გვქონდა ყრუთა კავშირთან. ამ ადამიანებს უწევდათ სხვებისთვის ეთხოვათ დახმარება, რომ გამოეძახებინათ გადაუდებელი დახმარება. SMS და ვიდეო ზარის სერვისი, სწორედ ყრუ და

სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის არის განკუთვნილი. აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია და შესაძლებელია ვიდეო ზარის განხორციელება სკაიპის დახმარებით.

პროექტზე მუშაობისას ჩვენ გვერდით იყო ყრუთა კავშირი და მათ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. გასული წლის აპრილიდან ამ ადამიანებს დამოუკიდებლად შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ. აღსანიშნავია, რომ როდესაც სერვისი ამოქმედდა, ისინი გვირეკავდნენ და მადლობას გვიხდიდნენ ამ შესაძლებლობისთვის.

112-ში 150 ოპერატორია დასაქმებული, ისინი საათების მიხედვით არიან გადანაწილებული, ყველაზე მეტი ზარი საღამოს 18:00 საათიდან 24:00 საათამდე შემოდის. ჩვენ მიერ განხორციელებულმა მრავალფეროვანმა პიარ კამპანიამ გამოიღო შედეგი და არამიზნობრივი ზარების რაოდენობა შემცირდა.

- როგორც ახსენეთ, კონფერენციის პერიოდში სხვადასხვა ქვეყანა გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში უახლეს ტექნოლოგიებსა და მიღწევების გამოფენებს აწყობს. იგეგმება თუ არა, რომელიმე სერვისის ან ტექნოლოგიის დანერგვა/ადაპტირება საქართველოში?

- კონფერენციებზე ძალიან საინტერესო პრეზენტაციებია ხოლმე წარმოდგენილი. არის ასეთი საერთაშორისო პროექტი - **eCall**, 2018 წლიდან ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებაში, რომელიც ევროპის მასშტაბით გამოვა ჩამონტაჟებული იქნება სპეციალური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სიგნალი ავტომატურად შევა გადაუდებელი დახმარების ცენტრში. ეს სერვისი განსაკუთრებით ეფექტური იქნება მათთვის, ვინც მარტო იქნება შემთხვევისას და გონებას დაკარგავს. პროექტი ჯერჯერობით არ არის გაშვებული, მასში ქართული მხარეც აქტიურად არის ჩართული და მას შემდეგ რაც ევროპაში ამოქმედდება, ჩვენთანაც მალევე დაინერგება.

- კიდევ რა გეგმები აქვს 112 იმისათვის, რომ საქართველოში მყოფი ადამიანები უფრო და უფრო დაცულად და მშვიდად გრძნობდნენ თავს?

- 112 დაარსებიდან დღემდე ეფექტურობის გაზრდაზე მუშაობს და ვცდილობთ დაკავშირების ბევრი საშუალება არსებობდეს. 2016 წლის ბოლოს ჩვენ მოქალაქეებს შევთავაზებთ მობილურ აპლიკაციას სმარტფონებისათვის. ჩვენ ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობას მარტივად დავადგენთ.

- და ბოლოს, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მსმენელს რა შემთხვევაში უნდა დავრეკოთ 112-ზე?

- 112 არის ერთადერთი გადაუდებელი დახმარების ნომერი, ის უნდა აკრიფოთ ყოველგვარი პრეფიქსის გარეშე მობილურიდანაც და ქალაქის ტელეფონიდანაც.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოპერატორსა და ინიციატორს შორის შედგეს თანამშრომლობა და მოხდეს ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. მნიშვნელოვანია მისამართის დადგენა, სწორედ ეს არის პირველი შეკითხვა.

112-ზე მხოლოდ მაშინ უნდა დავრეკოთ, როდესაც არის მართლაც გადაუდებელი შემთხვევა.

03

112-ის წარმატება უნგრეთის შს მინისტრმა აღნიშნა

ბუდაპეშტში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი უნგრელ კოლეგას, შანდორ პინტერს შეხვდა.

შეხვედრაზე უნგრეთის შს მინისტრმა ხაზი გაუსვა საქართველოს წარმატებას გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის - „112" ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნგრეთმა, ანალოგიური ცენტრის შექმნისას, მისი მაგალითით იხელმძღვანელა.

04

გადაცემა „ეკიპაჟი"

გადაცემა „ეკიპაჟი" - შინაგან საქმეთა სამინისტროს და I არხის ერთობლივი პროექტია, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას 22:20 წთ-ზე გადის ეთერში.

ეს რეალითი მინი სერიალია, რომელიც საპატრულო, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სახანძრო სამაშველო სამსახურის მუშაობას ასახავს. თუ თქვენ გაინტერესებთ როგორ იქცევიან ექიმები, საპატრულოდა სახანძრო სამაშველო სამსახურის თანამშრომლები კრიტიკულ სიტუაციაში, თუ თქვენ გსურთ თავად გახდეთ ჩვენს ქალაქში მომხდარი ამბების მონაწილე უნდა უყურით გადაცემას ,,ეკიპაჟი".

ჩვენ მოგიყვებით როგორ მუშაობენ ეს ადამიანები და გაჩვენებთ იმ მომენტებსაც, როდესაც ეკიპაჟის წევრებს საშუალება ეძლევათ დაისვენონ და ერთმანეთს მომხდარის შესახებ გაესაუბრონ.

არც ერთი დადგმული კადრი და სცენა. ყველა სიტუაციაში კამერა ეკიპაჟის წევრებთან ერთად არის და თქვენ ტელეეკრანთან გახდებით იმის უშუალო მონაწილე, რასაც ხშირად ფანჯრებიდან და აივნებიდან დიდი ინტერესით ადევნებთ თვალს.

ეს რეალითია!

05

„როცა წამები გადამწყვეტია“ 112-ის სოციალური პასუხისმგებლობა

112-ის დეპარტამენტი „რაიდმედს“ ევაკუატორის მომსახურეებით დაეხმარა.

„რაიდმედი“ არის სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები იპოთერაპიის (საცხენოსნო მკურნალობა) კურსს გადიან.

„რაიდმედის“ წარმომადგენლის ნენეს მადლობა 112-ს.

-„მოგესალმებით ჩვენო მეგობრებო, გულშემატკივრებო, ბენეფიციარებო და სტუმრებო.

ჩვენ, მთელი გუნდი და კომპანიები, რომელთა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა აღსანიშნავი-დასაფასებელია, ერთად განვაგრძობთ ცენტრის კეთილმოწყობაზე ზრუნვას.

112-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს, ქალბატონ სოფო ალექსიძეს, მივმართეთ თხოვნით, რომ გაეწიათ დახმარება „ევაკუატორების სერვისით“, პასუხიც და რეაგირებაც წარმოუდგენლად სწრაფად მოხდა.

„რაიდმედს“ ძალიან მალე ახალი ლამაზი ღია „მანეჟები“ ექნება, სადაც ჩვენი ბენეფიციარები რეაბილიტაციის კურსს გაივლიან და ჩვენი სტუმრები სპორტულ ცხენოსნობას შეისწავლიან.

დიდი მადლობა სრულიად „რაიდმედის“ გუნდის სახელით ბატონ გიორგი ბიჭაშვილს და 112 ის წარმომადგენლებს გაწეული დახმარებისთვის!

დიახ! ზუსტად მაშინ, როდესაც წამებიც კი გადამწყვეტია, რომ შეგიქმნათ კომფორტული გარემო, 112 ჩვენ გვერდით არის!“

www.112.ge
www.112.ge
www.112.ge
24/24

112
WHEN EVERY
SECOND COUNT...
DAF
CF
AA-112-AV

06

112-ში ყრუ და სმენადაქვეითებული პირების ვიზიტი გრძელდება

2016 წლის 16 მარტიდან - 18 აპრილის ჩათვლით, 112-ში განხორციელდა შშმ პირების ხუთი ვიზიტი.

112-ის წარმომადგენლებმა ყრუ და სმენადაქვეითებული პირები მონაცემთა ბაზაში დაარეგისტრირეს და დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს სერვისის შესახებ.

112-ის მიზანია SMS და ვიდეო ზარის სერვისის ბაზაში დაარეგისტრიროს საქართველოში მცხოვრები ყველა ყრუ და სმენადაქვეითებული პირი, რათა მათ საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად შეძლონ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან დაკავშირება.

სერვისით სარგებლობისათვის საჭიროა ყრუ და სმენადაქვეითებული პირების წინასწარი რეგისტრაცია 112-ის ვებგვერდზე: www.112.gov.ge

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სერვისით საქართველოს 112-მა, ევროპის ნომრის ასოციაციის (EENA) ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიაზე, 82 ქვეყანას შორის გაიმარჯვა ნომინაციაში - „საუკეთესო ინოვაცია."


112

lenovo

07

112-ის საინფორმაციო ფლაერები ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში განთავსდა

112-მა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რომელიც გულისხმობს საქართველოს მასშტაბით ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში 112-ის საინფორმაციო ფლაერების განთავსებას.

112-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც მიზნად ისახავდა 112-ის ცნობადობის და მის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის შესწავლას, გამოიკვეთა, რომ არარეზიდენტებში ნომრის ცნობადობა ძალიან დაბალია. კერძოდ ტურისტების 76%-ს არ სმენია თუ რომელი გადაუდებელი დახმარების ნომერი მოქმედებს საქართველოში.

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ თითოეულ ტურისტს ჰქონდეს უსაფრთხოების განცდა და გადაუდებელი შემთხვევისას, იცოდნენ თუ რა ნომერზე უნდა დარეკონ დახმარების მისაღებად.



08

ათასწლეულის სკოლის მოსწავლეების საჩუქარი 112-ს

ათასწლეულის სკოლის მოსწავლეებმა 112-ს საჩუქრად სააღდგომო ხელნაკეთი კვერცხები გამოუგზავნეს.

ეს საინტერესოა...

09

ჩუმი გმირი

სერ ნიკოლას უინტონმა სიკვდილისგან იხსნა 669 ბავშვი, რომლებიც კონცლაგერებში სასიკვდილოდ იყვნენ განწირულნი. იგი 50 წლის განმავლობაში დუმდა ამ ფაქტის შესახებ და არავისთვის მოუყოლია იმაზე, თუ როგორ გამოიყვანა 1939 წელს გერმანელების მიერ ოკუპირებული ჩეხოსლოვაკიიდან ბავშვები. მისი გმირობის შესახებ ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც 1988 წელს, მისმა მეუღლემ, სხვენის დალაგებისას შემთხვევით იპოვა ძველი ალბომი ბავშვების ფოტოებითა და დოკუმენტებით. რომ არა ეს შემთხვევა, მსოფლიო ვერასოდეს შეიტყობდა ამ უდიდესი „სამაშველო ოპერაციის“ შესახებ.

1938 წლის დეკემბერში ნიკოლასი შვეიცარიაში შვებულების გასატარებლად ემზადებოდა. მოულოდნელად მეგობარმა - მარტინ ბლეიკმა დაურეკა (ბლეიკი პრაღაში, ჩეხოსლოვაკიიდან დევნილთა ბრიტანულ კომიტეტში მუშაობდა): „შეწყვიტე შვებულება და ჩემთან ჩამოდი, მნიშვნელოვანი საქმე მაქვს... თხილამურები შეგიძლია დატოვო...“ - უთხრა ბლეიკმა უინტონს.

პრაღაში ჩასულ ნიკოლასს იქ საშინელი სურათი დახვდა - ქალაქი სავსე იყო დევნილებით, რომლებიც 1938 წლის ცნობილი „ბრონლის ღამის“ (ამ ღამეს გერმანიაში ფაშისტებმა გაანადგურეს ებრაელების მაღაზიები, სახლები, სინაგოგები) შემდეგ გამოიქცნენ ჩეხოსლოვაკიაში. დევნილებს შორის უამრავი ბავშვი იყო, რომლებსაც გარდაუვალი დაღუპვა ელოდათ. დევნილთა კომიტეტი მხოლოდ მოხუცთა და ინვალიდების გადარჩენის პროგრამით მუშაობდა, ბავშვების გადარჩენა უინტონმა აიღო საკუთარ თავზე - სასტუმროს ნომერში გახსნა ერთგვარი „მაღაზია“, სადაც სასოწარკვეთილ მშობლებს მოყავდათ შვილები და მზად იყვნენ აღარასოდეს ენახათ ისინი, იმ იმედით, რომ ბავშვები გადარჩებოდნენ. ნიკოლასი იწერდა ბავშვების სახელებსა და გვარებს, აგრავებდა მათ ფოტოებს, გეგმავდა მათი ქვეყნიდან გაყვანის ოპერაციებს... „მაღაზიის კართან“ მუდმივად რიგი იდგა... რა თქმა უნდა ამ ყველაფერმა ნაცისტები დააეჭვა. ნიკოლასი ჭრთამეს არიგებდა, რომ როგორმე ცოტა დრო მოეგო და რაც შეიძლება მეტი სიცოცხლე გადაერჩინა. მან 900-მდე ბავშვის დარეგისტრირება შეძლო.

1939 წელს, ნიკოლასი ლონდონში დაბრუნდა და დედასა და რამდენიმე მეგობართან ერთად შექმნა „ჩეხოსლოვაკიიდან დევ-

ნილთა ბრიტანული კომიტეტის ბავშვთა განყოფილება“ - რომლის მიზანიც ბავშვების საზღვარზე გადმოყვანისთვის ფულადი სახსრებისა და გადარჩენილების დასაბინავებლად ოჯახების მოძიება იყო. ასობით ოჯახი დათანხმდა, რომ დევნილი ბავშვები შეეფარებინათ. ბევრი ფულს რიცხავდა, თუმცა ეს საკმარისი არ იყო და უინტონი საკუთარი სახსრებით ფარავდა ხარჯების უმეტესობას.

ბავშვების გადმოსაყვანად ვიზები იყო საჭირო, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხს აგვიანებდა, დრო კი არ იცდიდა, ამიტომ ნიკოლასმა ვიზები გააყალბა. ამ დროს პრაღაში მისი მეგობარი, ტრევორ ჩადვიკი, „მეგობრობდა“ გესტაპოს წარმომადგენელთან და ჭრთამს აძლევდა მათ, რომ ბავშვებით დატვირთული მატარებლები საზღვარზე არ შეეჩერებინათ. ნიკოლასმა და მისმა მეგობრებმა 7 ასეთი მატარებელი გამოიყვანეს ოკუპირებული ტერიტორიიდან, ბოლო მატარებლის ბედი დღემდე უცნობია, რადგან მისი გადმოყვანის დროს ფაშისტებმა საჰაერო დარტყმა განახორციელეს...

მოგვიანებით, გადარჩენილი ბავშვებიდან ერთ-ერთი - ვერა გისინგი წერდა: „გერმანელების მიერ საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნილი 15 000 ებრაელი ბავშვიდან, მხოლოდ რამდენიმე ასეული გადარჩა, ჩემი თაობიდან გადარჩენილთა უმეტესობა სიცოცხლის შენარჩუნებას ნიკოლას უინტონს უნდა უმადლოდესო“.

დღეს ეს „ბავშვები“ 70-80 წლის ადამიანები არიან, და თავებს „უინტონის შვილებს“ უწოდებენ.

1988 წელს, მას შემდეგ, რაც ნიკოლასის მეუღლემ ძველი ალბომი აღმოაჩინა, ყველა იქ მოძიებულ მისამართზე წერილები გაგზავნა და დაახლოებით 80 გადარჩენილი „ბავშვი“ ასე იქნა ნაპოვნი. თოქ-შოუმ „ეს არის ცხოვრება!“ (That's Life!) ნიკოლას უინტონი გადაცემაში მიიწვია. მოულოდნელად გადაცემის წამყვანმა ნიკოლასის და დევნილი ბავშვების ისტორიის მოყოლა დაიწყო და სთხოვა აუდიტორიას, თუ ამ ამბის მონაწილეები იმყოფებოდნენ სტუდიაში ფეხზე წამომდგარიყვნენ...

დარბაზში მსხდომთა უმეტესობა ფეხზე წამოდგა!..

როცა ნიკოლასს ეკითხებოდნენ, რატომ გადაწყვიტა ასეთი სარისკო ოპერაციის განხორციელება, იგი მხრებს იჩეჩავდა და პასუხობდა: - „ვილაცას არ აინტერესებს, რომ ბავშვები სასიკვდილო განსაცდელში იმყოფებიან და მათი სასწრაფო გადარჩენაა აუცილებელი. რას იზამ, როცა შენ ხარ ვალდებული ეს გააკეთო და სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს!“

სერ ნიკოლასი 2015 წელს, 106 წლის ასაკში გარდაიცვალა.

წყარო: www.pravmir.ru

10

რობოტი „არტურიტო"

არტურიტო - რობოტია, რომელსაც ჩილეს პოლიცია მუშაობის დროს იყენებს. რობოტი არა ერთხელ დაეხმარა პოლიციელებს რთული სიტუაციების დროს. მაგალითად, მისი დახმარებით პოლიციამ მიაკვლია ბიზნესმენის გვამს, რომელიც 12 ფუტი სისქის ბეტონის ქვეშ იყო დამარხული. გარდა ამისა, რობოტმა მიაგნო 10 მილიარდის ღირებულების განძს, რომელიც 15 მეტრის სიღრმეზე იყო ჩაფლული ჩილეს ახლოს მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე.

რობოტის მუშაობის პრინციპი უცნობია, რადგან მისი შემქმნელი - მანუელ სალინასი, მკაცრად იცავს თავისი გამოგონების საიდუმლოს.



11

ლაზერული სკანერი Busts DUI Perp.

კომპანია LeicaGeosystems-ის ლაზერულ სკანერს შეუძლია დანაშაულის ადგილის სწრაფი და ზუსტი ფოტოს შექმნა. 2004 წელს, კალიფორნიაში, სკანერის საშუალებით დადასტურდა ერთ-ერთი მძღოლის დანაშაული, რომელიც სხვა მანქანას დაეჯახა და ავარიის შედეგად 4 ადამიანი გარდაიცვალა.

სკანერმა აღადგინა შემთხვევის ადგილის ზედმიწევნით ზუსტი სურათი და აჩვენა, რომ დამნაშავე რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი - რობერტო ველანოვეტა გახლდათ.

იცოდით, რომ...

12

საინტერესო ფაქტები გადაუდებელი დახმარების ნომრების შესახებ

- ყოველწლიურად საქართველოს 112-ში 8 მილიონზე მეტი ზარი შემოდის.
- სტატისტიკის მიხედვით, 112-ში შემოსული ზარების 50-55% არამიზნობრივია.

- ყოველწლიურად აშშ-ში, 911-ში 240 მილიონი ზარი შედის.
- სტატისტიკის მიხედვით, 911-ში შესული ზარების 15-20% არამიზნობრივია.

- 70% ზარებისა 911-ზე, უკაბელო ტელეფონებიდან ხორციელდება.

- 2006 წელს, 5 წლის რობერტ ტურნერმა განახორციელა ზარი 911-ზე - დედას გულის პრობლემა ჰქონდა. ოპერატორმა ჩათვალა, რომ ბავშვი თამაშობდა და სასწრაფო დახმარება არ გაგზავნა. გარკვეული დროის შემდეგ ბავშვმა კვლავ დარეკა, მეორე ოპერატორმაც ჩათვალა, რომ ის თამაშობდა და გაიფრთხილა არ ეთამაშა ამ ნომრით. შეშინებულმა ბავშვმა ტელეფონი გათიშა. სამწუხაროდ, ამ ფაქტის გამო ბავშვის დედა გარდაიცვალა.

- 911-ის დისპეტჩერები ხშირად განიცდიან კრიტიკული ინციდენტის სტრესის სინდრომს, ეს ემართებათ იმ ადამიანებს ვისაც შეხება აქვს სტრესულ სიტუაციებთან. სინდრომის დამახასიათებელი ნიშნებია კოშმარები და ძლიერი შფოთვა.

- ამერიკაში რეკავენ 911-ზე, ხოლო სხვა ქვეყნებში 999-ზე. ეს ქვეყნებია: გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, პოლონეთი, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბეთის საემიროები, მაკაო, ბანგლადეში, კენია, ჰონკონგი, ტრინიდადი და ტობაგო, სინგაპური.

- ევროკავშირის ქვეყნებში 112 არის გადაუდებელი დახმარების ნომერი, რომელზეც დარეკვა უფასოა.

- მსოფლიოში უძველესი საგანგებო ნომერია 999, რომელიც შეიქმნა 1937 წლის 30 ივნისს.

- ჩრდილოეთ ამერიკაში, კერძოდ კანადაში, პირველი საგანგებო ნომერი იყო 999, სადაც მუშაობდა 8 ოპერატორი ქალი.

- ცნობილია, რომ ალაბამა, ქალაქი სადაც 911 შეიქმნა, ყოველწლიურად მართავს 911-ის ფესტივალს, სადაც პატივს მიაგებენ პოლიციას, სახანძრო და სასწრაფო-სამედიცინო სამსახურებს.

- ტელეფონი, რომელიც გამოიყენებოდა 911-ზე ზარების მისაღებად, ინახება ალაბამას მუზეუმში, მისი ასლი კი დღემდე გამოიყენება პოლიციის განყოფილებაში.

- 2001 წლის 11 სექტემბერს ძალიან ბევრმა ადამიანმა დარეკა 911-ზე, რათა შეეტყობინებინათ სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული ტერაქტის შესახებ, თუმცა შეჯახებამ ქსელები დააზიანა და ზარები არ ხორციელდებოდა.

№32
აპრილი, 2016

112

112-ის დროით...